

არაკომერციული გამომცემლობა საგა

ჯიბის ნიგნის სერია 5

მედია – კულტურა – საზოგადოება

აკა მორჩილაძე (გიორგი ახვლედიანი, დაბადებული 1966 წელს, 10 ნოემბერს, თბილისში) – ქართველი მწერალი, ისტორიკოსი, პოსტსაბჭოთა ქართული ლიტერატურის ბესტსელერების ავტორი. 1988 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი, სადაც დღემდე მოღვაწეობს. 90-იანი წლების დასაწყისში პარალელურად მუშაობდა საპარლამენტო სხდომების მიმომხილველად ყოველდღიურ გაზეთში „რეზონანსი“ და, აგრეთვე, უურნალისტად ყვითელ პრესაში. ამჟამად არის თავისუფალი ავტორი ქართულ გაზეთებსა და უურნალებში გამოქვეყნებული ესეისტური ნარკვევებისა. ავტორია წიგნების: „მოგზაურობა ყარაბაღში“ (1992), „გადაფრენა მადათოვზე და უკან“ (1998), „სანტა ესპერანსა“ (2004), „მესაიდუმლის ქამარი“ (2008) და სხვ.

კაგდაფია ინ ჯორჯია

აკა მორჩილაძე

თბილისი, 2010

ნახატი გარეკანზე:
გარეკანის დიზაინი:
დაკაბადონება და
გამომცემელი:

მაია სუმბაძე
გიორგი ბაგრატიონი
სოსო დუმბაძე

მესამე გამოცემა, 2010
ISBN 978-9941-0-0789-7
ყველა უფლება დაცულია

© არაკომერციული გამომცემლობა საგა, 2010
www.sa-ga.org

სარჩევი

კაგლატა ინ პორტი

1.	სერჯიო	9
2.	ფეხი დამიცადა, ნუდლს	23
3.	ატრია	38
4.	მეორე მავთული	51
5.	უიზნენი აერობიკა	65
6.	უ-ტო-პიი-ია	79

პირადი ენციკლოპედია

ბ	93
ღ	95
თ	99
წ	101
პ	103
ფ	109
ქ	114
შ	117
ჰ	124

ପାଠ୍ୟାତ୍ମକ ଉଚ୍ଚ ଶର୍ମିଳା

[...]

მგონი, გაზაფხული იყო. 1986 წლის გაზაფხული უნდა ყოფილიყო, ნამდვილად. რეიგანი სახლის პარმალზე იდგა და გაცინებული ელოდა გარბა-ჩოვს, რომელიც შლაპაში გამოცხადდა.

ეს დღე იმიტომ მახსოვს, რომ ეს ამბავი საგა-ნგებო ახალ ამბებში უჩვენეს და, ეგრევე, ამ ახალი ამბების შემდეგ კინოს ჩავუჯექით. ვიღაცას მოე-ტანა კასეტები ჩემს მეგობართან, ჩვენ კი დილი-დანვე მივაცდინეთ ლექციები და ვიდეოს საცერ-ლად გავემართეთ, ვინაიდან ფილმი გრძელი იყო, უგრძესი.

ფილმი იყო, კაგდატა ვ ამერიკე და, მე თუ მკი-თხავთ, მისი ცქერა დაგვიანებულიც კი იყო იმი-ტომ, რომ ბევრს ჰქონდა ნანახი და გაუთავებლად ამაზე ლაპარაკობდნენ. ექვს საათს გრძელდებაო, დე ნირო თამაშობსო და მთელი ამბავი.

ხოდა, სანამ ვიდეოს ჩავრთავდით და ჩამოვ-სხდებოდით პაპიროსებით, დილიდანვე და გემრი-ელად, მანამდე ვნახეთ ეს რეიგანი და გარბაჩოვი ტელევიზორში. მოკლედ, ფილმი ისტორიულ დღეს ვნახე, თუმცა უნდა ვთქვა, რომ ბოლომდე არ მინა-ხავს, რაღაც მიზეზით წამოვედი იქიდან. წასას-ვლელი ვიყავი სადღაც, თუ რა იყო, არ მახსოვს.

ყოველ შემთხვევაში, კაი ხანს ვუყურებდით. მეგონა, რომ არასდროს დამთავრდებოდა და ახლაც არ ვიცი, რამსიგძეა, მით უემტეს, რომ ეს დედამიწაზე არავინ იცის. სადღაც-სადღაც რომ

გადავაწყდები, მაინც ვერ ვუყურებ ხოლმე ისე, რომ ოციოდ წუთზე მეტი გამოვიდეს გადაბმულად.

განგსტერული ფილმები ნანახი მქონდა, ნათლიაც და კიდევ სხვებიც. ერთი სერიალივით რაღაცა იყო, განგსტერსკი ხრონიკი ნიუ იორკა, ბაგზი სიგელზე, მეიერ ლანსკიზე და ვილაცეებზე და ისიც, კიდევ, დიახ, ლიცო სა შრამამ, რომელიც სრულიად არ მიზიდავდა. ყველაზე უფრო ეს ნათლია მომწონდა, თანაც, ის ადგილები, სადაც ძველი ნიუ იორკის ამბებია მოთხრობილი. მანამდე ნათლია სამიზდატში მქონდა წაკითხული და ასე თუ ისე ვიცოდი, რა იყო და როგორ. „ამერიკო ბონასერა სულ რამდენიმე კვარტალში ცხოვრობდა თავისი დამკრძალავი ბიუროდან“... აი, ეს წინადადებაც კი მახსოვს.

ჰოდა, ამ ერთხელ ამერიკაშიც ის 20-იანი წლები არ იყო, კოტონ კლაბით რომ შემიყვარდა? მაგრამ, ეჭ, როგორლაც ვერ ჩავუმუდამდი ამ ფილმს. კი ვუყურე, მაგრამ, ჰა.. ვითომ არც მიყურებია, ვერაფერზე ვიფიქრე. ხუმრობები ძალინ უხამსი იყო და შიგ არანაირი ხალისი არ იგრძნობოდა.

ალბათ, ეგრეც უნდა ყოფილიყო, იმ ბიჭებისგან სხვას რას უნდა მოელოდეს კაცი. მაგრამ მაშინ ამას ვერ მივხვდი იმიტომ, რომ ყველა მათზე ლაპარაკობდა და მეც, უკვე შემეძლო, რომ რაღაცა მეთქვა ამ ფილმის შესახებ. ანუ, მრგვალი ბეჭედი დამერტყა, რომ ნანახი მაქვს.

ჰოოოოოო, მუსიკა, საუნდტრეკი, როგორც ახლა იტყვიან, ლამის მთავარ რომანტიკად იყო ქცეული. ის მთავარი მელოდია, თორემ იქ მუსიკა ბევრნაირია. ახლაც, ზოგიერთ იმ განცდის ერთ-გულს, მობილურებში აღმოვუჩენ ხოლმე იმ საუნდტრეკს.

მაგრამ ყველაზე მაგარი ის იყო, რომ ბიჭების გულჩვილობის ამბავი გამოვლინდა. ბიჭები ხომ ჩვეულებრივ არ ავლენენ ხოლმე გულჩვილობას. მარტო ძალიან გამორჩეულები ავლენენ. მაშინ ასე იყო და ახლა აღარ ვიცი. მაგრამ ამ კაგდატა ვ ამერიკემ რაღაცნაირი ლეგალური გულჩვილობის საშუალება მისცა ყველას, იმიტომ რომ ქუჩური გულჩვილობა იყო რაღაცნაირად ბლაგვი.

იქ არის უცნობილესი ეპიზოდი, როცა უბნის მთავარი განგსტერი ამ ჯერ კიდევ პატარა ბიჭების ბანდას გადაეკიდება, რადგან გრძნობს, რომ ისინი მალე აღარ დაემორჩილებიან და ჩააჩოჩებენ. ბიჭების ბანდამ კი უკვე ფული იშოვა, ბუტლეგერებს შეუამხანაგდა და ძვირფასი ტანსაცმელიც იყიდა, თანაც, სადგურის სეიფში ფული შეინახა და მთელი ამბავი. ჰოდა, ეგრე კოხტად გამოწყობილებს წინ ეს ტიპი, სახელად ბაგზი, დაუხვდებათ და სროლას უპირებს.

ესენი ყველანი გარბიან და ბაგზის ტყვია, რა თქმა უნდა, მათ შორის ყველაზე პატარა, ყველაზე საყვარელ, ყველაზე კომიკურ, მაგრამ ნამდვილად

და ჭეშმარიტად დიდი მომავლის მქონე დომინიკს მისწვდება.

დომინიკი შესაფრისკენ გარბის და სწორედ ამ დროს მოხვდება ტყვია ისე, რომ ფორჩილით მიაღწევს იქამდე, სადაც ნუდლსი იმაღება (ცოტა მანიაკურად ვყვები, მგონი) და მის ხელებში დალევს სულს სიტყვებით:

– ფეხი დამიცდა, ნუდლს.

ეს სცენა იყო მთავარი გულჩვილობის მიზეზი, თუმცა სხვა, უფრო ნაკლებ მნიშვნელოვანი, სახალისო გულჩვილობანიც აღინიშნებოდა საუბრებში. მაგალითად, როცა ბოზანდარა გოგო პეგი ნამცხვარს მოითხოვს სექსის სანაცვლოდ და პეტსი ჩოლდბერგს ეს ჭაპანწყვეტით ნაყიდი ნამცხვარი მის ლოდინში შემოეჭმევა. ასე იტყოდნენ, ჯერ ბავშვია, ქალს ტკბილეულობა ურჩევნიაო, და ჩაიღიმებდნენ.

ხოლო დომინიკის მკვლელობა დისკუსიის საგანიც იყო. მით უმეტეს, რომ კინოში ნათქვამი ფრაზების სადისკუსიოდ გამოტანის ტრადიცია ადრიდანვე არსებობდა.

დავა იყო სიტყვებზე: ფეხი დამიცდა, ნუდლს.

ერთნი ამბობდნენ, რომ ბიჭი იმდენად პატარა და უბინო იყო, რომ ვერც კი მიხვდა, ტყვია რომ მოხვდა, და ეგონა, ფეხი დაუცდაო.

მაშინ ჯერ ბევრმა არავინ იცოდა, რას გრძნობ, ტყვია რომ მოგხვდება, მაგრამ ვიღაცეები ამბობდნენ – ეგრეა, ვერ გრძნობო.

ამათი მოწინააღმდეგები კი აცხადებდნენ, პატარა კი იყო, მაგრამ ისეთი ნასტირნი, დუხიანი და უტეხი, რომ ტყვია რომ მოხვდა, მშვენივრადაც იგრძნო და არ აღიარაო.

მოკლედ, ცოტათი იმას ჰეგავდა, გულივერის ამბებში რომაა, კვერცხი ბოლოდან ჩავტეხოთ, თუ თავიდანო.

მაგარი ბიჭების მიერ ფილმის გმირთა ქცევების გარჩევა თურმე ძველთაგანვე არსებობდა. საქმე კრიმინალურ ამბებს ეხებოდა, თორემ ამარკორდში რომ თეო ყვირის ხიდან, ის კი არავის გაურჩევია.

ამის მთავარი შემთხვევები სამოციან წლებში იყო, როდესაც ხალხმა შესანიშნავი შვიდეული ნახა.

სადღაც წავიკითხე, რომ საბჭოთა კინოგაქირავების ისტორიაში ეს იყო ყველაზე შემოსავლიანი ფილმი, რომელიც ოთხ წელიწადს იყო ეკრანებზე და კიდევ მეტსაც იქნებოდა, უცაბედი, ამოუცნობი ბრძანებით რომ არ მოეხსნათ ეკრანებიდანო.

ჰოდა, ერთმა იმ დროის კაცმა მიამბო, ამ ფილმზე ხალხი ფუჭდებოდაო. ანუ, ქუჩის ამბავში კამათები იბადებოდა – ვინ არის მართალი, კალვერა თუ კრისიო. ავტორიტეტების სიტყვით, მართალი კალვერა იყო. არ ვიცი იმიტომ, რომ გასაწენი უნდა გაიწენოს; არ ვიცი, იმიტომ დატყვევებულ

შვიდეულს რომ გაუშვებს, ისინი კი ყოვლად ვე-რაგულად უკან დაბრუნდებიან. ამბობდნენ, ქურ-დებმა თქვესო, კალვერა მართალიაო. ჰოდა, იმას წინ ვინდა დაუდგებოდა.

მოკლედ, კაგდატა ვ ამერიკესაც ასეთი რამ ემუქრებოდა.

ემუქრებოდა კი არა, უკვე სჭირდა. გარშემო უკვე მისი ექსპერტები არსებოდნენ: ბიჭები, რომ-ლებმაც ფილმის ყოველი მოსახვევი იცოდნენ და ყოველ საქციელს ჩვენებური ქუჩის კანონებით აფასებდნენ.

სიმართლე რომ ითქვას, მათი მოსმენა მეორედ აღარც იყო საჭირო. ერთს რომ მოისმენდი, უკვე იცოდი, სხვა ასეთივე ექსპერტი რას იტყოდა. მოგეხსენებათ, როგორც ყოველი კანონი, ეს კანონიც არ უშვებს გადახრას რომელიმე მხარეს და არანაირი ლიბერალიზმი აქ არ გავიდოდა.

ყველაზე დიდი ლიბერლაიზმი ის იყო, რომ გეთქვა, ესენი მაინც ბანდიტები არიან, არავის ინდობენ და არ შეიძლება, რომ კარგი ადამიანები იყვნენო, მაგრამ ასეთი რამ ძალიან იშვიათად გამიგონია მაშინ. ვინც იწუნებდა ამ კინოს, მხოლოდ ერთი სტანდარტული ფრაზით – რავი, მე კრიოსნი აწეცი მირჩევნიაო.

მაგრამ ნათლია ვერ გახდა ამ გაქანების ფილმი ბიჭებში. ვერანაირად.

[...]

საგას სხვა გამოცემები:

ჰანს ბელერი – პინომონტაზის ასპექტები

დასავლეთში ფართოდ გავრცელებული, შესავალი ხასიათის მქონე კინოსამონტაჟო სახელმძღვანელო ტექსტი, სადაც გაანალიზებულია აქტუალური სამონტაჟო მოდელები, ცნებები და რეჟისორთა სპეციფიკური სტილები: ეიზენშტეინი, ბუნუელი, ჰიჩკოკი, გოდარი, ტარკოვსკი, კუბრიკი, ჯარმუში და სხვა.




გამოცემას ახლავს კინოსამონტაჟო ცნებების განმარტებითი ლექსიკონი; კადრთა სიდიდის მაჩვენებელი და 180 გრადუსის პრინციპის ამსახველი სქემები



ვალტერ ბენიამინი – ხელოვნების ნიმუში მისი
ტექნიკური რეაროდუცირებადობის ეპოქაში.
ისტორიის ცნების შესახებ

მკითხველს პირველად ეძღვა საშუალება გაეც-
ნოს ქართულ ენაზე ცნობილი ფილოსოფოსისა და
კულტურის მკვლევრის, ვალტერ ბენიამინის (1892-
1940), ორ წარმომს: „ხელოვნების ნიმუში მისი ტექ-
ნიკური რეპროდუცირებადობის ეპოქაში“ (1935-36)
და „ისტორიის ცნების შესახებ“ (1940).



www.goethe-institut.ge

პირველი წერილი ხე-
ლოვნების ნიმუშის „აუ-
რის“ დაკარგვის ახსნას
გვთავაზობს. მან განსა-
კუთრებული აქტუალუ-
რობა შეიძინა 60-იან
წლებში, როცა იქცა
მოწოდებად, ხელოვნე-
ბა გამოეყენებინათ სო-
ციალურ-პოლიტიკური
ემანსიპაციის მიზნით.
თეზისები „ისტორიის
ცნების შესახებ“ ავამე-
ბს ავტორის თანამედ-
როვე პერიოდისბჭო-
ტბას ისტორიული მა-
ტერიალიზმის დანიშ-
ნულებაზე.

ფსიქიატრიასთან გამოცდილების მქონე პირთა გერმანული ასოციაცია – რჩევები და ხერხები – როგორ ვმართოთ „შეშლილ-ობა“?

„მეგზური“ განკუთვნილია ფსიქიატრიასთან გამოცდილების მქონე ადამიანებისა და მათი ახლობლებისათვის, რომლებიც კრიზისის დროს და მის შემდეგ მხარში უდგანან ამ პიროვნებებს. აქ მოცემული რჩევები საშუალებას გვაძლევს ინდივიდუალურად და შინაურულად მოვეკიდოთ ამ მდგომარეობას; გვეხმარება, შეძლებისდაგვარად ფსიქოტროპული წამლების გა-

რეშე, ორგანიზმისადმი ზიანის მიყენების გვერდისავლით, მოვლენების მართვასა და მყუდროებისა და სტაბილურობის მოპოვებაში.

რჩევები და ხერხები – როგორ ვმართოთ „შეშლილ-ობა“?




ტექსტს ახლავს ფსიქიატრ თემურ იოსებაძის ბოლოსიტყვაობა და დამხმარე იორგანიზაციების საკონტაქტო ინფორმაცია.



BPO

რეზო კვესელავა – მოგონებები ძართველ კინე- მატოგრაფისტებზე

ქართველი კინოდრამატურგის რეზო კვესელავას სამე-
მუარო წერილების კრებულში „მოგონებები ქართველ
კინემატოგრაფისტებზე“ ავტორი იხსენებს: თენიგიზ
აბულაძეს, აკაკი ბაქრაძეს, სულიკო ჟღენტს, მიხეილ
კვესელავას, მიხეილ კობახიძეს, კოტე მიქაბერიძეს,
ალექსანდრე რეხვიაშვილს, სერგო ფარაჯანოვს, ოთარ
იოსელიანს, დორე ხინთიბიძესა და სხვებს.



გამოცემაში წარმოდ-
გენელია ქართველ კი-
ნემატოგრაფისტთა
უნიკალური ფოტოე-
ბი ავტორის პირადი
არქივიდან და კინო-
სტუდია „ქართული ფი-
ლმის“ ორასამდე თა-
ნამშრომლის მოკლე
ბიოგრაფიული მონა-
ცემები.



საქართველოს კინემატოგრაფიის
ცენტრის მინიჭი
GEORGIAN NATIONAL FILM CENTER

სამინიჭი კინემატოგრაფიული მუნიციპალიტეტი

გალე საგასაგან:

- საბჭოთა ავანგარდისტის, კინოდოკუმენტალისტის და დოკუმენტური კინოს თეორეტიკოსის **ძიგა ვერტოვის** ტექსტების კრებული: ადამიანი პინოა-პარატიტ (მანიფესტი, სტატიები, სასცენარო ვარიანტები); დევი დუმბაძის შესავალ წერილთან ერთად: „არასაალბათო თვალის პოეზია – „კინოგლოზის“ კონცეფცია ძიგა ვერტოვის ფილმში „ადამიანი კინოაპარატით“.
- საბჭოთა კინემატოგრაფისტისა და კინოს თეორეტიკოსის **სერგეი ეიზენშტეინის** მონტაჟის თეორიის ფუნდამენტური ტექსტების კრებული: ინტელექტუალური მონტაჟი.

დამატებითი ინფორმაცია:
www.sa-ga.org

საგას ნიგნის ქურდი – ქურდი არ არისო!